

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი**

**2019 წლის ბიუჯეტი**

## ნაწილი I

### 2017-2018 წლების მოკლე მიმოხილვა

#### ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულება

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 3 თებერვალს N1 დადგენილებით 10346.3 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია სულ 5457.3 ათასი ლარის ოდენობით, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5225.3 ათასი ლარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232,0 ათასი ლარი. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 4854.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 3270.0 ათასი ლარი გადასახადების სახით და 1584.0 ათასი ლარი სხვა შემოსავლების სახით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **35.0** ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ - დეკემბერში ბიუჯეტის მიმართ 8-ჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 18170.2 ათასი ლარით. (ფინანსური აქტივების ცვლილებების ჩათვლით 19376.2 ათასი ლარი) აქედან გრანტები შეადგენს 8350.0 ლარს. მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი 5.2 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი 5225.3 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **232.0** ათასი ლარი. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2887.5 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა სოფელ ზოდის, ნიგოზეთის, ეწერის, ვაჭევის, რგანი-ხრეთის, სარქველეთუნის, ხვაშითის საავტომობილო გზის, N8, N5, N11, N 6-9-10 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **9785.2** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **3270.0** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **6515.2** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **35.0** ათასი ლარით.

2017 წლის 03 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **1225.3** ათას ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **330.4** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **894.9** ათას ლარს .

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტლის (იანვარ-დეკემბრის) თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი ნაშთის ცვლილების გარეშე განისაზღვრა **18170.2** ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **20110.1** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 110.7 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით **2355.3** ათასი ლარით მეტი შემოსულობებია ბიუჯეტში შემოსული. შემოსულობების ზრდის ტემპი გასულ წელთან შედარებით შეადგენს 13.3%-ს.

მეოთხე კვარტალში (იანვარ-დეკემბრის თვეში) ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება) გეგმით განსაზღვრული იყო 1206.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად შმოსავალმა გადააჭარბა ხარჯებს 3362.8 ათასი ლარით, რის შედეგად ნაცვლად კლებისა გაიზარდა ფინანსური აქტივი(ნაშთი).

### შემოსავლები

**I გადასახადების სახით** ბიუჯეტში მობილიზებულია 3275.1 ათასი ლარი, გეგმის 3270.0 ათასი ლარის 100.2 %. (როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები გადასახადები მთლიან ბიუჯეტში შეადგენს შემოსავლების 16%-ს.) მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკური პირებიდან შემოსულია 1130.4 ათასი ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის 850.0 ათასი ლარის 133.0 %.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 852.9 ათასი ლარი, გეგმის 1170.0 ათასი ლარის, 72.9%, სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებიდან, 1291.8 ათასი ლარი, გეგმის 1250.0 ათასი ლარის, 103.3 %.

**გრანტები.** საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 8195.5 ათას ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი \_ 5225.3 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232.0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2738.2 ათასი ლარი.

**III სხვა შემოსავლები:** 2017 წლის ბიუჯეტის ფაქტიურ შემოსავლებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა შეადგინა მთლიანი ბიუჯეტის 43% ნაცვლად დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული 15.3%-ისა, რაც ამ სახეობების შემოსავლების ზრდის ტემპის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს. მეოთხე კვარტლის (იანვარ-დეკემბრის) გეგმით განსაზღვრული 6515.3 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შესრულებამ 8572.1 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 131.6 %. მათ შორის: პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში, შემოსულია 135.7 ათ ლარი, გეგმის 70.0 ათასი ლარის 193.9%, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 6887.6 ათ. ლარი გეგმის (5413.8 ათასი ლარის) 127.2 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 6795.5 ათ. ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 20.5 ათ. ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 44.4 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 2.4 ათ. ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 24.7 ათ. ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 26.1 ათ. ლარი, (გეგმა 20.0 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია 130.5 %-ით, მიწის იჯარა 1.2 ათ (გეგმა 1.5 ათასი ლარი). შესრულებულია 80.0%-ით. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 39.1 ათ.ლარი, (გეგმა 2.0 ათ. ლარი), სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1268.3 ათასი ლარი, გეგმის 866.9 ათასი ლარის 146.3 %, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 14.4 ათ. ლარი, გეგმის 38.0 ათასი ლარის 37.9%, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,6 ათასი ლარი, (გეგმა არ იყო გათვალისწინებული) სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 141.2 ათ. ლარი, (გეგმა 100.0 ათასი

ლარი) შესრულებულია 141.2 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 73.8 ათას ლარს, სხვადასხვა დარგში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 67.4 ათას ლარს.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი (ხელშეკრულებების ვადის დარღვევისთვის) შემოსულია 14.5 ათასი ლარი. 43.3 ათასი ლარი შემოსულია 2016 წლის ბოლოს გადარიცხული თანხის გარანტორის მიერ 2017 წელში ანაზღაურებით. (ხელშეკრულების პირობები არ შესრულდა მომწოდებლის მიერ)

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ - დეკემბრის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 67.3 ათ. ლარი, გეგმით უნდა შემოსულიყო 35.0 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 192.3 %-ს. აქედან ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 54.9 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 5.7 ათასი ლარი; არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) 6.8 ათასი ლარი.

### ***ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები***

მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის წლიური გადასახდელები განისაზღვრა 19376.2 ათასი ლარით. გაწეულმა საკასო გადასახდელებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 16747.3 ათასი ლარი, გადასახდელების წლიური გეგმა ათვისებულია 86.4 %, მათ შორის მიმდინარე საკასო ხარჯები შეადგენს 10567.0 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების შეძენაზე გახარჯულია 6148.1 ათასი ლარი, გასული წლის დავალიანების დაფარვაზე (ვალდებულებების კლება) 32.1 ათასი ლარი.

### **ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას მოხმარდა **2017 წლის 12 თვეში 2688.8** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების **3183.3** ათასი ლარის **84.5 %** მ.შ. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა **2537.3** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა **142.6** ათასი ლარი, გასული წლის დავალიანების დასაფარავად მიმართული იქნა **8.9** ათასი ლარი. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა **566.8** ათ. ლარი. დაფინანსდა 92.5 %-ით. (გეგმა 613.1 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტის გამგეობის დასაფინანსებლად **2122.0** ათ. ლარი, დაფინანსდა 84.6 %-ით (გეგმა **2508.5** ათ.ლარი).

2. გამგეობის სარეზერვო ფონდიდან 2017 წლის იანვარ-დეკემბერში გამოყოფილი იქნა 106.6 ათ. ლარი, მათ შორის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 02 ივნისის N51 943 ბრძანების შესაბამისად ჭიათურა- სოფ. თაბაგრების ჩანგრეული ხიდ-ბოგირის აღსადგენად გამოყოფილი იქნა 50.0 ათ.ლარი, 2017 წლის 023 ივნისის N 51 1057 ბრძანების შესაბამისად ჭიათურა-სოფ რცხილათის დაზიანებული ხიდის აღდგენითი სამუშაოების

პროექტირებისათვის 1.0 ლარი, 2017 წლის 28 ივნისის #51 1174 ბრძანებით ჭიათურა-სოფ რეგიონის სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენითი სამუშაოებისათვის 48.562 ათ. ლარი. 2017 წლის 11 ნოემბრის N51 2104 ბრძანებით 1.0 ათასი ლარი და 29 დეკემბრის N51 2427 ბრძანებით 6.0 ათასი ლარი გამოყოფილი იქნა სტიქიური უბედურების შედეგად მოსახლეზე მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

3. თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოების დაფინანსებას მოხმარდა **126.4** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 94.8 %-ით (გეგმა **133.4** ათ. ლარი).

4. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულება 2017 წლის იანვარ - დეკემბრის თვეში შეადგენს **7290.3** ათას ლარს, დაფინანსდა 80.1 %-ით (გეგმა **9102.1** ათასი ლარი) მათ შორის: ა). საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **5165.6** ათასი ლარი (გეგმა 6107.1 ათასი ლარი დაფინანსების პროცენტი 84.6), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 4866.1 ათასი ლარი (გეგმა 5747.2 ათ. ლარი), საბაგირო გზების სუბსიდირებას გეგმური 200.0 ათასი ლარი. საგზაო ნიშნების, საგზაო ბარიერების... მოწყობასა და სხვა სამუშაოებზე გახარჯული იქნა 99.5 ათ. ლარი (გეგმა 159.9 ათ. ლარი). ბ). კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა **1894.5** ათასი ლარი, დაფინანსდა 73.0 %-ით (გეგმა 2595.4 ათასი ლარი), აქედან წყალმომარაგების სისტემის აღდგენაზე გაიხარჯა 94.6 ათ.ლარი (გეგმა 366.7 ათ.ლარი, დაფინანსდა 25.8 %-ით), დაბალი პროცენტით შესრულება გამოიწვია მომწოდებლის მიერ (შპს „აკვედუკი“) ხელშეკრულების პირობების დარღვევამ. სანიღვრე არხების აღდგენაზე 32.3 ათ. ლარი (გეგმა 48.4 ათ. ლარი), კეთილმოწყობისა და დასუფთავების სერვის ცენტრის ანგარიშზე ქალაქის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების გასახორციელებლად გადარიცხული იქნა 1380.9 ათასი ლარი (გეგმა 1430.0 ათ. ლარი), საყრდენი კედლის მოწყობაზე გაიხარჯა 148.6 ათასი ლარი (გეგმა 325.9 ათ.ლარი მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე გაიხარჯა 131.6 ათასი ლარი (გეგმა 210.3 ათ. ლარი), გარე განათების აღდგენა-მოვლა პატრონობაზე 106.5 ათ.ლარი (გეგმა 214.2 ათ. ლარი). გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (სკვერების მოვლა პატრონობაზე) 38.9 ათ.ლარი (გეგმა 67.7ათ. ლარი) დაფინანსდა 57.4%-ით. დ). სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **191.3** ათასი ლარი (გეგმა 332.0 ათასი ლარი) დაფინანსდა 57.6%-ით.

5. განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **2437.1** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსებაზე, დაფინანსდა 95.0 %-ით (გეგმა **2565.7** ათ. ლარი), აქედან 2045.0 ათასი ლარი გაცემულია ხარჯების სახით, 392.1 ათ. ლარი არაფინანსური აქტივების შესაძენად საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე,

6. კულტურა, რელიგია,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 87.4 %-ით გეგმით უნდა დახარჯულიყო 2942.4 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 2897.0 ათასი ლარი საიდანაც: 2805.5 ათასი ლარი მიმართული იქნა ხარჯების სახით, ხოლო 83.2 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების შეძენაზე, 8.3 ათასი ლარი

დავალიანების დაფარვაზე. აქედან: ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა **1075.2** ათასი ლარი, დაფინანსდა 98.5 %-ით (გეგმა 1091.2 ათასი ლარი). ბ) კულტურის განვითარებას მოხმარდა **1579.6** ათ. ლარი (გეგმა 1599.2 ათასი ლარი), დაფინანსდა 98.8 %-ით. გ). ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **182.2** ათასი ლარი. (გეგმა **191.9** ათ.ლარი) დაფინანსდა 95.0 %-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული სტუდენტების, მოსწავლეების, სპორტსმენების პედაგოგების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება.დ). რელიგიის ღონისძიებებზე მიმართული იქნა 60.0 ათასი ლარი. (გეგმა 60.0 ათ. ლარი).

7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2017 წლის იანვარ-დეკემბერში **1307.7** ათასი ლარი, დაფინანსდა 90.2 %-ით. (გეგმა **1449.3** ათასი ლარი), აქედან:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **115.7** ათ. ლარი. დაფინანსდა 97.8 % (გეგმა **118.3** ათ.ლარი).

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **1192.0** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.6 %-ით (გეგმა **1331.0** ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **791.6** ათ. ლარი, ( უმწეო და მიუსაფარ მოქალაქეთა კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **84.8** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის გარდაცვლილთა ოჯახების დასახმარებლად **65.1** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **2.6** ათ.ლარი, ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე **156.3** ათ. ლარი, სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად **51.2** ათასი ლარი. მოსახლეობის სოც. დაცვაზე **40.4** ათ.ლარი, მათ შორის: დევნილთა სოციალურ დაცვა 6.7 ათასი ლარი, ხანდაზმულთა სოციალური დაცვა 11.5 ათასი ლარი. მარჩენალდაკარგულ ოჯახებზე 19.7 ათასი ლარი. ვეტერანთა დახმარებაზე 2.5 ათასი ლარი.

2018 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4588.1** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **610.4** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **3977.7** ათას ლარს .

## **ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული პროგნოზები**

### **2018 წლის ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 22 დეკემბერს N37 დადგენილებით 13202.0 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია სულ 5647.3 ათასი ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5415.3 ათასი ლარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232,0 ათასი ლარი. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 7531.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 3080.0 ათასი ლარი გადასახადების სახით და 4451.1 ათასი ლარი სხვა შემოსავლების სახით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **23.6** ათასი ლარი.

2018 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 6 -ჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 20720.55 ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები 11183.05 ათასი ლარი. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5415.3 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **232.0** ათასი ლარი. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5535.75 ათასი ლარი.

საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა **3080.0** ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები **6433.9** ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **23.6** ათასი ლარით.

2018 წლის 01 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4588.1** ათას ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **610.4** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **3977.7** ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად წლიური ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა **25197.9** ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები 11305.561 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების ზრდა 13893,379 ლარით. წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება განისაზღვრა 3363,884 ათასი ლარით; თავდაცვის დაფინანსება 125,235 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 14791,041 ათასი ლარით; განათლების დაფინანსება 2401,110 ლარით; კულტურა, სპორტი, რელიგია და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება 3258,261 ათასი ლარით; ჯანდაცვის დაფინანსება 115,0 ათასი ლარით; სოციალური პროგრამების დაფინანსება 1102,409 ათასი ლარით.

რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით (4535,750 ათასი ლარი) ფინანსდება: ჭიათურა-ხვაშითის, ქვაციხის გზატკეცილი ჯვარი-ეწერის, ქვაციხის გზატკეცილი ვაკევის, მემორიალი- რგანი-ხრეთის, სოფელ სარქველეთუბნი და სოფელ ბიდის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით(1000,0 ათასი ლარი) ფინანსდება სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლებისა და სანიარვრე არხის აღდგენის ღონისძიებები.

### ნაწილი III

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017-2022 წლების აგრეგირებული მაჩვენებლები:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	20200 წლის პროგნოზი
შემოსავლები	20042.70	20696.95	16183.330	18156.80	21003.70	23464.80
გადასახადები	3275.10	3080.00	2200.00	2200.00	2200.00	2200.00
გრანტები	8195.50	11183.05	7726.10	9599.70	11941.60	13897.70
სხვა შემოსავლები	8572.10	6433.90	6257.230	6357.10	6862.10	7367.10

ხარჯები	10569.00	11304.56	11649.700	12608.00	12908.00	13108.00
შრომის ანაზღაურება	1670.10	2221.48	2249.700	2400.00	2400.00	2400.00
საქონელი და მომსახურება	913.20	943.56	985.500	1100.00	1100.00	1100.00
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00			
პროცენტი	2.30	75.50	75.50	80.00	80.00	80.00
სუბსიდიები	6.247.8	645.35	6923.000	7318.00	7418.00	7618.00
გრანტები	50.00	36.30	0.00	0.00	0.00	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	121.4	1065.86	1140.000	1400.00	1600.00	1600.00
სხვა ხარჯები	474.20	504.52	276.0	310.00	310.00	310.00
საოპერაციო სალდო	9473.60	9392.39	4533.630	5548.80	8095.70	10356.80
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6080.70	13869.78	4533.630	5548.80	8095.70	10356.80
ზრდა	6148.10	13893.38	4539.630	5555.50	8102.90	10364.60
კლება	67.40	23.60	6.00	6.70	7.20	7.80
მთლიანი სალდო	3392.90	-4477.39	0.00	0.00	0.00	0.00
ფინანსური აქტივების ცვლილება	3362.60	-4477.39	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	3362.60	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	3362.60	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	0.00	4477.40	0.00	0.00	0.00	0.00



ვალუტა და დეპოზიტები	0.00	4477.40	0.00	0.00	0.00	0.00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00		0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	0.00		0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-30.30	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	30.30	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

### ნაწილი III

#### 2019-2022 წლების ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები ჭიათურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჭიათურის მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- თავდაცვა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

**1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, საყრდენი კედლების და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ბეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14791.041	5126.830	5970,0	9304,6	11254,6
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	8648.751	3184.530	3500,0	7104,6	9505,6
03 01 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	8343.451	2934.530	3200,0	6342,9	7004,6
03 01 02	საგზაო ნიშნების დამონტაჟება და მაგისტრალური მონიშვნითი სამუშაოები საგზაო ბარიერების მოწყობა და სხვა სამუშაოები	0.3	0,0	0,0	0,0	0,0
03 01 03	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები (საბაგრო გზა)	195.0	250,0	250,0	250,0	250,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
03 01 04	ხიდებისა და მოაჯირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	110,0	0,0	50,0	50,0	50,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5365,791	1892,300	2230,0	2710,0	3810,0
03 02 01	წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	487,387	30,0	200,0	300,0	300,0
03 02 02	სანიაღვრე არხები	457,118	80,0	100,0	100,0	100,0
03 02 03	დასუფთავების ღონისძიებები	1300,0	1620,0	1400	1500	1600
03 02 04	საყრდენი კედლები	934,9	0,0	100,0	150,0	150,0
03 02 05	ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2076,222	162,3	400,0	650,0	1650,0
03 0 2 05 01	მრავალსართულიანი სახლების ლიფტების აღდგენა	219,1	50,0	100,0	150,0	150,0
03 02 05 02	საცხოვრებელი სახლების სახურავის აღდგენა, სახურავი მასალის შექმნა	144,022	50,0	100,0	100,0	100,0
03 02 05 03	საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენა	1711,900	62,3	200,0	400,0	1400,0
03 02 05 04	საცხოვრებელი სახლების დანომვრა	1,2	0,0	0,0	0,0	0,0
03 02 07	გარე განათება	110,164	0,0	30,0	10,0	10,0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	624,099	50,0	240,0	140,0	140,0
03 03 01	მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა	561,799	30,0	200,0	100,0	100,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
	პატრონობა ავარიული ხეების მოჭრა					
03 03 02	ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოწყობა, რეაბილიტაცია და სხვა.	32,3	0,0	20,0	20,0	20,0
03 03 03	ქვათაცვენის სამუშაოები	30,0	20,0	20,0	20,0	20,0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	152,4	0,0	0,0	0,0	0,0

**1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

**პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ახალი/მეორე ხარისხის ხანის საავტომობილო გზების, სასოფლო და შიდაკვარტალური გზებისა და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციის აუცილებლობა. მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ჭიათურის მუნიციპალიტეტში აუცილებელი ხდება საგზაო ბუფორების და მოაჯირების შეკეთება მოწყობა. ვინაიდან ჭიათურა წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს, მოსახლეობის გადაადგილებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საშუალებაა საბაგირო გზა. საბაგირო გზის რეაბილიტაციის დასრულებამდე შპს ჭიათურბაგიროგზები ავტოტრანსპორტით მოემსახურება მგზავრებს საბაგირო გზის არსებული მიმართულებით.

**პროგრამის აღწერა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ახალი/მეორე ხარისხის ხანის გზების, სასოფლო გზების და შიდაკვარტალური გზების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება საბაგირო გზის დაფინანსება. განხორციელდება ფეხით მოსიარულეთათვის კიბეების მოწყობა და მოაჯირების შეკეთება-მოწყობა.

**1.1.1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)**

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და მოწესრიგება, მგზავრთა კოფორტული და უსაფრთხო გადაადგილება მუნიციპალიტეტის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭიათურაში გზების რეაბილიტაცია შემდეგი მიმართულებით:



სოფელ სალიეთში არსებული საუბნო გზებისბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ დიდ კაცხში ლოლაძეების უბანში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ უსახელოში ლაშქის უბანში არსებული საუბნო გზის ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ წასრის საუბნო გზის მოწყობა;  
 სოფელ გეზრულში ფცქიალაძეები-გაჩეჩილაძეების უბანში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ გეზრულში კაციები-გელაშვილების უბანში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ გეზრულში ხოჯანაშვილების უბანში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ პერევისაში მოდებამეების უბანში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ ვანში ცენტრალურ გზაზე (ზედა ჭალოვანი ვანის დამაკავშირებელი გზა) ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ პერევისაში ცხადაძეები- კვანტალიანების უბნებში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ ზედა ჭალოვანში (ვაკევისა) ზედა ჭალოვანი ვაკევისის დამაკავშირებელი გზის ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ რგანში ჩალაძეების უბანში (სკოლის გზა) არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები ;  
 სოფელ ხრეთში კაპანაძეები-ბაქრაძეების უბანში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ მელაშვილებში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ რგანში გველესიანები-ნადირაშვილების უბანში არსებული საუბნო გზების ასფალტო-ბეტონის მოწყობის სამუშაოები ;  
 სოფელ დიდ კაცხში ცივი კუთხის უბანში არსებული საუბნო გზების ბეტონის მოწყობის სამუშაოები;  
 სოფელ ნიგოზეთში ასანიძეები, წერეთლები, ჯაოსვილების უბნის გზის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (დაახლოებით 3200 გრძივი მეტრი);

**1.1.2 მილსადენი და სხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01 03)**

ვინაიდან ჭიათურა წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს, მოსახლეობის გადაადგილებისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საბაგირო გზა.საბაგირო გზის რეაბილიტაციის დასრულებამდე შპს „ჭიათურბაგირგზები“ უზრუნველყოფს საბაგირო გზის მიმართულებით მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებას ავტოტრანსპორტით.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისათვის საჭირო დროის შემცირება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებით კმაყოფილების დონის ზრდა;
- სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობის შემცირებული დრო;

**1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

**პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსამედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია მოსახლეობის მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. ჭიათურის მუნიციპალიტეტის რელიეფიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე(დიდთოვლობა) მნიშვნელოვანი ხდება ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებისა და საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა პატრონობა; ქუჩების და დასახლებების იერსახის და მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესობა .

ჭიათურის მთა-გორიანი მდებარეობის გამო მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის, რომელთა გარკვეული ნაწილი დღეისათვის ავარიულ მდგომარეობაშია აუცილებელი ხდება მათი მოწყობა და რეაბილიტაცია.

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს განათებული ქუჩები, ამისათვის აუცილებელია გარე განათების ქსელის გაფართოება და არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა.

### **პროგრამის აღწერა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, განხორციელდება საყრდენი კედლის აღდგენა და საბინაო ამხანაგობების დაფინანსება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

#### **1.2.1 წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ ბიდის (ზედა უბანი), სოფელ ჭილოვანის, სოფელ წინსოფელის, სოფელ სკინდორის, სოფელ ცხრუკვეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

**1.2.2. სანიაღვრე არხები (პროგრამული კოდი 03 02 02)** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 9 აპრილის ქუჩაზე N3 სკოლის წინ არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია და ქალაქის დანარჩენ ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

#### **1.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)**

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, ზამთრის პერიოდში მოსული ნალექისაგან საგზაო ინფრასტრუქტურის გაწმენდა, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის“ დაფინანსება. განხორციელდება ერთი ერთეული ტრაქტორის შეძენა.

#### **1.2.4. მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ვინაიდან ქალაქში მრავლადაა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა მათი სახურავის, ფასადისა და კორპუსებში არსებული ლიფტების აღდგენა ამ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობისთვის შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

##### **1.2.4.1. მრავალსართულიანი სახლების ლიფტების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 05 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლიფტების აღდგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა ქალაქის ტერიტორიაზე. (ვინაიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობებთან თანადაფინანსების ( ლიფტის აღდგენის ღირებულების 10%-ის დაფინანსება უნდა განხორციელდეს მათ მიერ) პრინციპით, აღდგენა იმ მრავალსართულიანი სახლის ლიფტი, რომელიც აღნიშნულ პირობას დააკმაყოფილებს.

##### **1.2.4.2. საცხოვრებელი სახლებისათვის სახურავის აღდგენა, სახურავი მასალის შეძენა (პროგრამული კოდი 03 02 05 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მიზანს მრავალსართულიან საცხოვრებელი სახლებში საცხოვრებელი პირობების შენარჩუნება წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სახურავი მასალის შეძენა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის.

##### **1.2.4.3. საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 05 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილი N6 საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია.

### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ქალაქის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის განვითარება;
- მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება;
- დაზიანებული საყრდენი კედლების შემცირება;
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები;

### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ქალაქის გაუმჯობესებული სანიტარული პირობებით უზრუნველყოფა;
- შემცირებული მაწანწალა ცხოველების რაოდენობა;
- მოსახლეობის დაცვა სტიქიისაგან;
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების რაოდენობა:

**1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის დონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

**პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

ქალაქის გამწვანება და მოსახლეობის კულტურულ დასვენებაზე ზრუნვა, როგორც ფეხით მოსიარულეთა აგრეთვე ტრანსპორტის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რის გამოც იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა და გამწვანება, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და კიბეების მოწყობა-რეაბილიტაცია, კლდეებზე არსებული, ავარიულად საშიში, მოძრული ქვების ჩამოწმენდა.

**1.3.1 მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეების გაშენება.

**1.3.2. ქვათაცვენის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კლდეებზე არსებული, ავარიულად საშიში, მოძრული ქვების ჩამოწმენდა.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ქალაქის სკვერებისა და პარკების იერსახის გაუმჯობესება;
- ქალაქის მწვანე ნაწილის გაფართოვება.
- ქვათაცვენისაგან ავარიულად უსაფრთხო გადაადგილება;
- ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- დამსვენებელთა ზრდა პარკებსა და სკვერებში;
- ეკოლოგიურად ჯანსარი ქალაქი;
- ქვათაცვენისაგან ავარიულად უსაფრთხო ქალაქი;
- ფეხით მოსიარულეთა კმაყოფილების დონე;

**2.0 განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

პროგრამული კოდი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2401,110	2850,500	3200,0	3400,0	3800,0
04 01	სკოლამდელი განათლება	1300,0	2500,000	2900,0	3100,0	3400,0
04 02	ზოგადი განათლება	23,20	0.0	0,0	0,0	0,0
04 03	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	77,910	350,5	300,0	300,0	400,0



**2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

**პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

**პროგრამის აღწერა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღი რომელიც აერთიანებს 32 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1600-დე ბავშვს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“,

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბაღების მოწყობა იმ სოფლებში სადაც დღეისათვის არ არსებობს საბავშვო ბაღები.

**2.2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების (რომელიც განთავსდება აღნიშნულ სოფლებში არსებულ სკოლებში) მოწყობის საპროექტო და სარემონტო სამუშაოები შემდეგ სოფლებში: ხვაშითი, ქვედა ჭალვანი, ხალიფაური,წირქვალი, ქვაციხე, რცხილათი, სკინდორი, ნავარძეტი, კაცხი, ცხრუკვეთი, ბერეთისა, მერევი, გეზრული, მანდაეთი,ტყემლოვანა.განხორციელდება სოფელ ითხვისში საბავშვო ბაღის ახალი შენობის და სოფელ პერევისაში ადმინისტრაციულ შენობაში ბაღის მოწყობის საპროექტო-სარემონტო სამუშაოები

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით;
- გაზრდილი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები;
- ბავშვთა მაღალი აკადემიური მოსწრება;
- აღსაზრდელთა გაზრდილი რაოდენობა;

**3.0 კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;რეაბილიტაცია ჩაუტარდება სახელოვნებო, სამუსიკო სა სპორტულ სკოლებს.

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3258,261	3366,000	3470,0	3570,0	3670,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1315,662	1340,0	1347,0	1408,0	1432,0
05 01 01	სპორტული სკოლები	1074,0	1120,0	1197,0	1258,0	1345,0
05 01 01 01	ააიპ N27 კომპლექსური სპორტული სკოლა	560,0	580,0	620,0	650,0	660,0
05 01 01 02	ააიპ რაგბის სპორტული სკოლა	332,0	345,0	370	390	400
05 01 01 03	ააიპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა	182,0	195,0	207	218	222
05 01 02	საფეხბურთო და საკალათბურთო კლუბები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია	241,662	220,0	187,0	213,0	213,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1732,2	1786,0	1745,0	1795,0	1845,0
05 02 01	სამუსიკო სკოლები	385,0	405	440,0	450,0	460,0
05 02 01 01	ააიპ N1 სამუსიკო სკოლა	227,0	240,0	250,0	255,0	260,0
05 02 01 02	ააიპ N2 სამუსიკო სკოლა	158,0	165,0	190,0	195,0	200,0
05 02 02	ააიპ სახვითი ხელოვნების სკოლა	56,0	60,0	63,0	64,0	65,0
05 02 03	ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა	231,4	230,0	245,0	250,0	250,0
05 02 04	სსიპ კულტურის შემოქმედებითი ცენტრი	775,0	780,0	800,0	820,0	850,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
05 02 05	სსიპ სახელმწიფო დრამატული თეატრი	35,3	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 06	კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	249,453	311,0	197,0	211,0	220,0
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	102,546	120,0	150,0	150,0	150,0
05 04	ეპარქიის ხარჯები	50	60,0	100,0	100,0	100,0
05 05	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	57,9	60,0	80,0	80,0	80,0

### 3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

#### პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზება.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოეწყობა სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა.

#### 3.1.1 სპორტული სკოლები (პროგრამის კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა) ააიპ N 27-ე კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ბ) ააიპ რაგბის სპორტული სკოლა;
- გ) ააიპ ბავშთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა

##### 3.1.1.1. ააიპ N27-ე კომპლექსური სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.

### **3.1.1.2. ააიპ რაგბის სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება რაგბის სპორტული სკოლა, 2016 წლიდან სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატში. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;

### **3.1.1.3. ააიპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა, ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;

### **3.1.2. სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე 10 ერთეული ტრენაჟორის შექმნა მონტაჟი.

#### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ნიჭიერი სპორტმენი ახალგაზრდების გამოვლინება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

#### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ცხოვრების ჯანსაღ წესში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- გამართული სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა;

## **3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

### **პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

### **პროგრამის აღწერა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

### **3.2.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 )**

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გაეწევა:

- ა) სსიპ კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი;
- ბ) ააიპ №1 მუსიკალური სკოლა;
- გ) ააიპ №2 მუსიკალური სკოლა;
- დ) ააიპ სამხატვრო სკოლა;
- ე) ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა;

#### **3.2.2.1. სამუსიკო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ №1 მუსიკალური სკოლა და ააიპ №2 მუსიკალური სკოლა;

##### **3.2.2.1.1 N1 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ N1 სამუსიკო სკოლა სადაც მუსიკალურ განთლებას იღებს დაახლოებით 328 ბავშვი. აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები 80 მოსწავლე, ლაურეატი 58 მოსწავლე, მრავალშვილიანი 32 მოსწავლე, ობოლი 18 მოსწავლე, ლტოლვილი 12 მოსწავლე და ესტრადისა და

ფოლკლორის 44 მოსწავლე განთავისუფლებულნი არიან სწავლის ქირის გადასახადისგან. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის 84 მოსწავლე. სწავლის საფასური შეადგენს 15 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

### **3.2.2.1.2. N2 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ N2 სამუსიკო სკოლა სადაც მუსიკალურ განთლებას იღებს 192 ბავშვი. აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები 102 მოსწავლე, ლაურეატი 39 მოსწავლე, მრავალშვილიანი 10 მოსწავლე, ობოლი 4 მოსწავლე, ლტოლვილი 4 მოსწავლე. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის 33 მოსწავლე. სწავლის საფასური შეადგენს 15 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

### **3.2.2.2. ააიპ სახვითი ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა, სადაც სამხატვრო-სახელოვნებო განათლებას იღებს 35 ბავშვი.

### **3.2.2.3. ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 33 ბიბლიოთეკას.

### **3.2.2.4. სსიპ კულტურის შემოქმედებითი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და საცეკვაო წრეებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მომღერალთა გუნდებს. ცენტრის საკუთარი სახსრებით ფინანსდება ხელფასი და ოფისის ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასის, ოფისის და სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი.

### **3.2.2.5. კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურის შემოქმედებითი ცენტრის რეაბილიტაცია

#### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- მოსწავლე ახალგაზრდობის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ტრადიციების დაცვა და განვითარება;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება;

#### **შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობა;
- კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის მაჩვენებელი;
- რეაბილიტირებული კულტურული ობიექტები;

### **3.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

#### **პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

#### **პროგრამის აღწერა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად მგზავრობის ხარჯები, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში, წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, წარმატებულ სპორტსმენთა მწვრთნელების დაჯილდოვება, რეგიონალური და მუნიციპალური ტურნირებში მონაწილე გუნდების და ინდივიდუალურად გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოვება, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოვება, ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება.

#### **მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მოტივირება უკეთესი მომავლისათვის.

**3.4. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

**პროგრამის დასახულება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის ერთერთი პრიორიტეტული ამოცანაა მოქალაქეებში რელიგიური მრწამსისა და კულტურის ამაღლება, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ადამიანებისათვისათვის საკუთარი რწმენისა და აღმსარებლობის აღსრულებისათვის ხელშეწყობა.

**პროგრამის აღწერა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- რელიგიური საგანმანათლებლო ორგანიზაციის და მოსახლეობაში მრწამსის ამაღლების ხელშეწყობა;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- რელიგიური განათლების სწორად ჩამოყალიბება.

**3.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)**

**პროგრამის აღწერა**

სხვადასხვა სახალხო თუ სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს წარმოადგენს, რომელიც ხელშეწყობს ტრადიციების დაცვას. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სახალხო და სადღესასწაულო დღეებში საკონცერტო სანახაობისა თუ სხვა ღონისძიებების ჩატარებას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ჩატარებული ღონისძიებებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა;

**4.0. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1258,409	1300,0	1777,5	1802,0	2002
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	115,0	118,0	118,0	118,0	118,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
06 02	სოციალური პროგრამები	1102,409	1182,0	1659,5	1684,0	1884,0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	488,40	555,5	1034,5	1059,0	1259,0
06 02 01 01	სამკურნალო საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების თანადაფინანსება	271,4	361,5	810,5	835,0	1035,0
06 02 01 02	პროგრამულ ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება	42,0	45,0	45,0	45,0	45,0
06 02 01 03	მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	110,8	80,0	110,0	110,0	110,0
06 02 01 04	სიცოცხლისატვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	63,6	67,0	67,0	67,0	67,0
06 02 01 05	რადიექტიული ნივთიერებების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარება	2,0	2,0	2,0	2,0	2,0
06 02 02	ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	5,0	5,0	5,0	5,0	5,0
06 02 03	უფასო სასაბილო	128,5	150,0	150,0	150,0	150,0
06 02 04	მოსახლეობის სოციალური დაცვა	51,2	53,5	53,5	53,5	53,5
06 02 04 01	ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	14,5	14,5	14,5	14,5	14,5
06 02 04 02	დევენილთა სოციალური დაცვა	11,0	11,0	11,0	11,0	11,0
06 02 04 03	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	6,0	6,0	6,0	6,0	6,0
06 02 04 04	მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	21,2	22,0	22,0	22,0	22,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	276,0	283,0	283,0	283,0	283,0
06 02 05 01	ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა	65,0	80,0	80,0	80,0	80,0
06 02 05 02	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა	56,0	56,0	56,0	56,0	56,0
06 02 05 03	შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა	135,0	120,0	120,0	120,0	120,0
06 02 05 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება	26,6	27,0	27,0	27,0	27,0
06 02 07	სტიქიური უბედურობების შედეგად მიყენებული მოსახლეობის დასახმარებლად	72,818	70,0	70,0	70,0	70,0
06 02 08	ომის ვეტერანთა დახმარება	65,4	65,0	65,0	65,0	65,0
06 02 09	რეგრესის პენსია	5,591	0,0	0,0	0,0	0,0
06 03	ჯანმრთელობის დაცვის მხარდაჭერი პროგრამები	41,0	0,0	0,0	0,0	0,0

#### 4.1 ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

- ა) არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- ბ) დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- დ) სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ე) ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ვ) მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე



ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

#### 4.1.1 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა(06 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯ/ანდაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახური - ს“ დაფინანსებას.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა დონე;

#### 4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

##### პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ვითვალისწინებთ რა მუნიციპალიტეტში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს, გაჭირვებული და მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მათთვის სოციალური დახმარებების გაწევას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

##### პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება შემდეგი სოციალური პროგრამები:

ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა, მათ შორის:

ა.ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება (დაახლოებით 900-1000 ბენეფიციარი);

ა.ბ) ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება(დაახლოებით 35 ბენეფიციარი);

ა.გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 620 ბენეფიციარი);

ა.დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 350 ბენეფიციარი);

ა.ე) რადიქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 16 ბენეფიციარი);

ბ) ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურება;

გ) უმწეო და მიუსაფარ ადამიანთა უფასო სასაფლაოთი მომსახურება ( დაახლოებით 165 ბენეფიციარი);

დ) მოსახლეობის სოციალური დაცვა, მათ შორის:

დ.ა) ხანდაზმულთა დახმარება ( დაახლოებით 28 ბენეფიციარი);

დ.ბ) დევნილთა სოციალური დაცვა (დაახლოებით 105 ბენეფიციარი);

დ.გ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დარუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (დაახლოებით 30 ბენეფიციარი).

დ.დ)მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (დაახლოებით 120 ბენეფიციარი);

ე) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, მათ შორის:

ე.ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა (დაახლოებით 500 ბენეფიციარი);

ე.ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა (დაახლოებით 210 ბენეფიციარი);

ე.გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა (დაახლოებით 1200 ბენეფიციარი);

ე.დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრედ ოჯახთა დახმარება (14 ბენეფიციარი);

ვ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება (დაახლოებით 20-30 ბენეფიციარი);

ზ) ომის ვეტერანთა დახმარება ( დაახლოებით 335 ბენეფიციარი);

##### 4.2.1.ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;

ბ) პროგრამულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება;

გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;

დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება;

ე) რადიქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება;

4.2.1.1. სამკურნალო-საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01 01).

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ა) გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ბ) ექიმის დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების, მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევის ხარჯები. ასევე დაფინანსდება იმ ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური თუ მაღალტექნოლოგიური კვლევის განხორციელების პროცესში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;

გ) ამბულატორიულ ან/და სტაციონარულ დონეზე ჩასატარებელი გეგმიური სამედიცინო სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროცედურების ხარჯები, მხოლოდ ნერვ-კუნთოვანი დაზიანების მქონე პაციენტებისათვის 0-დან 14 წლამდე, ხოლო მოზრდილებისათვის მძიმე ფორმის შემთხვევაში ნერვ-კუნთოვანი დაავადების ან/და ტრავმის შედეგად განვითარებული ნერვ-კუნთოვანი დაზიანების შემთხვევაში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

დ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კერძოდ: ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ე) მშობიარობის, გართულებული მშობიარობისა და სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე.

**4.2.1.2. პროგრამული ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 02)**

ქვეპროგრამით განსაზღვრული ჰემოდიალიზისა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება, გაიცემა ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე. აღნიშნული დახმარებით სარგებლობენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს ფაქტობრივად მცხოვრები პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით და წარმოადგენენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.

**4.2.1.3. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (პირველი ჯგუფის) მქონე პირებს, კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა სეზონის მიხედვით: 01 ნოემბრიდან 01 მაისამდე - ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით; 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე - ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით.

ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის და 18 წლამდე ასაკის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად - 100 ლარის ოდენობით.

4.2.1.4. სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათ დაავადების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სიცოცხლისათვის საშიშ და „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი 17.2-ით განსაზღვრულ იშვიათი დაავადების მქონე მოქალაქეებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით,

მხოლოდ დაავადების პირველი ტიპის მქონე პაციენტებს. სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე პაციენტების სარეიტინგო ქულა უნდა არემატებოდეს 120000 ქულას.

4.2.1.5. რადიოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, რადიოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

#### 4.2.2 ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთის ომის და მეორე მსოფლიო ომის მებრძოლთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 250 ლარს.

#### 4.2.3. უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი, ფიზიკური ან/და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირების და მარტოხელა პირების (რომელთა ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და რომელსაც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სოფლის შინამეურნეობისაგან შემოსავალი) კვებით უზრუნველყოფა. მომსახურება გაეწევა 165 ბენეფიციარს.

#### 4.2.4. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

- ა) ხარდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- ბ) დევნილთა სოციალური დაცვა;
- გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

##### 4.2.4.1. ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემათ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულებს (95 წელი და ზევით) ერთჯერადად წელიწადში 500 ლარის ოდენობით.

##### 4.2.4.2. დევნილთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაეწევა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილებს.

ავხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100 ლარს.

##### 4.2.4.3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.

##### 4.2.4.4. მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულ პირს (ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე). დახმარება გაიცემა ერთჯერადად წლის განმავლობაში 100 ლარის ოდენობით.

#### 4.2.5 ოჯახების და ზავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

- ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა;
- გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა;
- დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება;

##### 4.2.5.1. ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:

- ა) პირველი შვილის დაბადებისას - 100 ლარი.

- ბ) მეორე შვილის დაბადებისას - 150 ლარი.
- გ) მესამე შვილის დაბადებისას - 200 ლარი.
- დ) მეოთხე შვილის დაბადებისას - 300 ლარი.
- ე) მეხუთე შვილის დაბადებისას - 350 ლარი.
- ვ) მეექვსე შვილის დაბადებისას - 500 ლარი.
- ზ) მეშვიდე შვილის დაბადებისას - 700 ლარი.
- თ) მერვე და შემდგომი შვილის დავადებისას - 1000 ლარი.
- ი) ტყუპების დაბადების შემთხვევაში დამატებით 500 ლარი.

ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ქიათურის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები მოქალაქე.

**4.2.5.2. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი). გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე.

**4.2.5.3. შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს:

- ა) შემოსავლის გარეშე მყოფ მარტოხელა მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები);
- ბ) შემოსავლის გარეშე მყოფ არასაპენსიო ასაკის მარტოხელა პირებს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და შვილები;
- გ) შემოსავლის გარეშე მყოფ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;
- დ) შემოსავლის გარეშე მყოფ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი (ბავშვები);

ამ პუნქტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

**4.2.5.4. მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05 04)**

ე) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე იმ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთა ბინის ტექნიკური მდგომარეობა არაადაპტაციო ფორმისა და საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის. დახმარება გაიცემა საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად დროებითი გამოსახლების დღიდან პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებამდე, შემდეგი სახით:

- ა) ერთ და ორ სულიან ოჯახებზე - 100 ლარის ოდენობით;
- ბ) სამ და ოთხ სულიან ოჯახებზე - 150 ლარის ოდენობით;
- გ) ხუთ და მეტსულიან ოჯახებზე - 200 ლარის ოდენობით;

**4.2.6 სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სტიქიური მოვლენების და სხვა დაუძლეველი ძალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი ან/და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვლილის ოჯახი. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. დამხმარე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს.

**4.2.7. ომის ვეტერანთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება მიეცემა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის ოდენობით. ავღანეთის ომის მონაწილეებს, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.“

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- მუნიციპალიტეტში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა;
- შობადობის ზრდა;

**5. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
02 00	თავდაცვა	125,235	160,00	160,00	160,00	160,00
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
02 02	საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	125,235	160,0	160,0	160,0	160,0

**5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

**პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**პროგრამის აღწერა**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა.

მოთხოვნის შესაბამისად წვევამდელთა დროული და მაქსიმალურ ზღვართან მიახლოება;

**6.0. წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)**

აღნიშნულ პრიორიტეტში მოიცავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციონირების ხარჯს, სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდს და თანამშრომელთა გადამზადების პროგრამას.

	დასახელება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3,363.884	3386.0	3,586.000	3,586.000	3,586.000
01 01	ჭიათურის საკრებულო	700.613	710.000	710.000	710.000	710.000
01 02	ჭიათურის მერია	2,560.692	2,580.000	2,700.000	2,700.000	2,700.000
01 03	სარეზერვო ფონდი	48.443	50.0	100.000	100.000	100.000
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	28.136	20.000	50.000	50.000	50.000
01 05	თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა	26.000	26.000	26.000	26.000	26.000